ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5

აბაშა, 2021 წლის 19 თებერვალი

,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.110.016428) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართი №1-ის 22-ე მუხლის მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,15. დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა:

ა) დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფებზე ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად – 200 (ორასი) ლარი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა კვიტაშვილი